



ილორი



№ 8 (78) 31 მარტი 2009 სანჯალხო მთკრატეპა "სამეგრელოს" ტრგანო 50 თემოი



3 არ ვიცი, კიდეც რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი

მაფალუ 8

ბაბბი
შარბთილი

"უფროდო ვიფო სვითიათა ნაძვირთა ქართული სვერებასა, აღმოსავლეთი საქართველოს დამპყრობით ნაძვირთა ქართულის სვერებასა. მათ სვერებას სიმბოლო-სამსიფო-თავთუფალი უქოილითა, რთვილი ქართულის ყოის ცეცხლი ექსთრებ ა და ედისა სევის... და უფროდო ენაში ჩა შენსულის თბილი მანვადიციე ად ის ძველი სვერები... ჩვენ უთხრო ჩვენს ჩქოვლი-ქოილითა, მუი ყო-მადიციე ა მოქალის უფრუის, რთი თქვან ათქოილით სვერებით შექსინს ვიფო ქართული ქართული ქოილური კულტურის ვიმადიციე მცელობა თო

80980 603033030

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I
(ალტერნატივა)

„მაფალუ“ უფრული ავტონომისტურ-სუბარბიტული თქვადიე კი არა, რთმედ სვერულის მანავილით ქართული ქოილური კულტურის ვიმადიციე მცელობა თო

2 მეგობრულ ურთიერთობათა აღდგენის იმედით

2009 წლის 27 მარტს, თბილისში, არტ კლუბ "ქარავანის" დარბაზში გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობის" პრეზენტაცია, რომლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ ქართველი ლიტერატორი და პუბლიცისტი თემურ ქორიძე. პრეზენტაციას ესწრებოდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, საპატიო სტუმრები.

სსოვნის სტრიქონები

ნაწყვიტებმ მებრულ ენაზე შემხნილი ისტორიული პომეიდან „გულათია“, რომლის ამტორი ბახლაკთ თახვამგოული მამგოლოში დო მუგბარტი პომეი მანიელ კაგულს მუ შიფოა, მთავარუმთ ბაზეთ „ილორში“. 113-ე ველი იღვმა პომეტს დამადმეიდან. იგი 28 წლის ასაში შვიწირა პოლიტიკუმბა უამინდოგამ – სემგოგოლოს სომ-ვარულიტ ბამგგოული გულანთემგომი პატრიოტი 1924 წლის თემგგგოული დაკატომტოს იმის ბამო, რომ საბატომგოლოს დემოკრტიული რესპუბლიკის არსებობის დროს იგი ზუმდის სამავრო პომეიტმტის პასუხსმგგომი პროკაბანდისტი. დაკატომ-რემისს დანიელ შიფოა თბილისს სახელმწიფო უნივერ-სიტეტის მისამე კონსზე სწავლოგლა.

დავით ქობალია
სამეგრელო
1990-იან
წლებში **4-5**



თემურ
ქორიძე

11
მეფე,
პრეზიდენტი
თუ მარსრეპელი
სატრაპი?

7 შანი — ძველი კოლხური სივილიზაციის საეაჭრო სანატსნო ქალაქი



7
**დღეს არა
სააკაშვილის,
არამედ
საქართველოს
ყოფნა-არყოფნის
საკითხი წყდება**



კონხელი ბორთხილინი

**სამეგრელო
და
სვანეთი**
1854-1861

9-10


6
ამის
დაპარბვის,
ან
დავიფყებინ
უფლება
არც რუსსა
აქმს და არც
ქართველს!

ნაწყვიტები გველიციკოს
წიგნიდან "კავკასია"

4
ოთარ ქაჯაია

**მეგრულ-ქართული
ლექსიკონი**

**ქართველოვის
კირითალი
შენაქენი**



ისტორიული მასალები

5
სამეგრელოს
სამაყო
შვილები




ელენე ჭუხუჩიანი

12
ამხანაგთის
კულინარიული
ხელოვნების
ნიმუშები

12
ამხანაგთის
კულინარიული
ხელოვნების
ნიმუშები

არ ვიცი, კიდე რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამლუჯველი



უახლოეს მომავალში საქართველოში შეიძლება ახალი ტერიტორიული პრობლემა შეიქმნას! – ამის შესახებ განცხადებას სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” თავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია აკეთებს. იგი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, რუსეთის ახალ აგრესიაზე საუბარს თავი დაანებოს და ამ პრობლემით დაინტერესდეს.

თქი, მეუბნებოდნენ, რომ ეს შეუძლებელია, რუსეთს არავინ აპატიებს სხვა ქვეყანაში ჯარის შეყვანას. როდესაც ეს მოხდა და მიემართე სააკაშვილს, სასწრაფოდ შეენყვიტა ომი და გასულიყო მოლაპარაკებაზე რუსეთთან, მთხრეს, რა დროს მოლაპარაკებააო. როდესაც დავმარცხდი და სამაჩაბლოდან წამოვედი, ისევ მიემართე ხელი-სუფლებას, სასწრაფოდ უნდა შედეგს მოლაპარაკება, რომ რუსეთმა არ ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა-მეთქი. – საერთაშ-

ღების გარანტიის როლის შესრულებაზე და თუ ჩვენ დავრჩით თურქეთის ხელში, თურქეთი არა მხოლოდ აჭარას მიხედავს, არამედ მხარს დაუჭერს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მოთხოვნასაც. არ ვიცი, კიდე რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამლუჯველი.

– ბატონო ალექსანდრე, აპრილში ოპოზიციის წაწილი მასობრივი საპროტესტო აქციები-

– ბატონო ალექსანდრე, საქართველოში აქტიურად მიდის საუბარი იმის შესახებ, რომ რუსეთისგან მოსალოდნელია ახალი აგრესია. ეს დაადსტურებ რუსმა ექსპერტმა ფელგენგაუერმა. ც.თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ისევ ომი?

– მე სულ ვამბობ, რომ დასავლეთი რუსეთს საქართველოს დაუთმობს მაშინ, როცა მას დასჭირდება, ისე, როგორც გააკეთა ეს 1921 წელს.

ჩვენ გამოგვიყენებენ და პირისპირ დაგვტოვებენ მტრულად განწყობილ რუსეთთან, ამაში

ახლა სერიოზული საუბარი და მოლაპარაკებები მიდის იმის თაობაზე, რომ რუსეთმა უარი თქვას ყარსის ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში აჭარა ძალიან სასიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდება. გასული წლის აგვისტოში თურქეთის პრემიერი ერდოღანი ვიზიტით გახლდათ მოსკოვში, საუბარი იყო ამ თემაზე და მაშინ ცოტა იმედგაცრუებული წავიდა, მაგრამ ერთი თვის წინათ ისევ იყო ჩამოსული და გაიმართა სერიოზული მოლაპარაკება. არ ვიცი, იყო თუ არა საუბრის დროს რაიმე პირობა რუსეთის მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ თურქეთს ოფიციალურად შეატყობინა, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა უარი თქვას ამ ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე. ამას სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისათვის.

თუ რუსეთმა უარი თქვა ყარსის ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე და თუ ჩვენ დავრჩით თურქეთის ხელში, თურქეთი არა მხოლოდ აჭარას მიხედავს, არამედ მხარს დაუჭერს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მოთხოვნასაც.

რუსეთს დღეს არავითარი მოგება აქედან არ ექნება. არის მოსაზრება, რომ შეიძლება ომის პროვოცირება მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ქვეყნიდან გაძევებულ იქნას არა ქართველი ხალხის, არამედ რუსული ჯარის მიერ და ამით მოიპოვოს წამებულ, ძალით გაგდებული მთავრობის სტატუსი.

– ჩვენი უბედურება ის არის, რომ ფელგენგაუერისნაირ ექსპერტებს ვუსმენთ და არასწორი დასკვნები გამოგვაქვს. რა იცის მან, რა იგეგმება რუსეთის გენშტაბში? მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს საომარი მოქმედების დაწყებისათვის.

ჩვენ უკვე დავრწმუნდით აგვისტოში და კვლავაც დავრწმუნდებით უახლოეს მომავალში.

რაც შეეხება ობამას და მედვედევს შესხვედრას, დღეს ამ ორ სახელმწიფოს შორის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები

ჩვენ გამოგვიყენებენ და პირისპირ დაგვტოვებენ მტრულად განწყობილ რუსეთთან, ამაში ჩვენ უკვე დავრწმუნდით აგვისტოში და კვლავაც დავრწმუნდებით უახლოეს მომავალში.

ორისო თანამეგობრობა ამას არ დაუშვებს და რუსეთი ამას ვერ გაბედავს, – იყო პასუხი. როდესაც ესეც მოხდა, ისევ მიემართე ხელისუფლებას, რომ საქართველოში მოლაპარაკება, რათა რუსეთს არ დაეწყოს ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგება. პასუხად ისევ მივიღეთ, ამერიკამ ამას არ დაუშვებს. დღეს გეკითხებით, ყველაფერი ეს ხომ მოხდა? დღეს მე ასევე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ აჭარისა და ჯავახეთის, ასევე შიდა ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებული რეგიონების გარშემო არ დავუშვათ სიტუაციის გაართულება.

სათვის ემზადება, ხელისუფლება ამბობს, რომ ეს შეიძლება რუსეთის მიერ ინსპირირებული იყოს ან რუსეთმა გამოიყენოს. დასაშვებად მიგაჩნიათ ასეთი რამ?

– არ ვიცი, რისთვის არის საქართველოს ხელისუფლების შეცვლა, თუ არ შეიცვლება პოლიტიკური კურსი, თუ ხელისუფლებაში არ მოვა დამოუკიდებლად მოაზროვნე ეროვნული ძალა, რომელსაც შეუძლია ალადადინოს ურთიერთობები რუსეთთან. ეს არის ამერიკის მიერ მართული ოპოზიციის და თუ დღეს ისინი ცალ-ცალკე დგანან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ, როგორც ჩანს, ამერიკიდან ჯერ კიდევ არ არის ერთმნიშვნელოვანი მითითება სააკაშვილის შეცვლის თაობაზე. რუსეთი ამ სამინაო კინკლაობაში არ ჩაერევა. საერთოდ, ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა უნდა დაანებონ თავი იმის მტკიცებას, რომ ყველაფრის უკან რუსეთი დგას. უკვე იქამდე მივიდა პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი, რომ სააკაშვილს კრემლის აგენტად აცხადებენ და ამბობენ, რომ იგი პუტინის მითითებით მოქმედებს.

– ამ ეჭვს ბაძებს საქართველოს მთელი რიგი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების რუსეთისათვის გადაცემა.

– საქმი იმამია, რომ საქართველოს ეკონომიკური ობიექტებში ფულის გადამხდელი არავინ არის, გარდა რუსი ბიზნესმენებისა, რომელთაც მართლაც აქვთ ეკონომიკური ინტერესი საქართველოში. ამ ხელისუფლებისათვის კი მთავარია ფული, თუმცა, მე იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ყოველივე ამის უკან რუსი ბიზნესმენები კი არაა, თავად ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან. ასე რომ, ყველას ვურჩევ, თავი რუსეთის აგენტებზე და ახალ აგრესიაზე საუბარს და მიხედოს იმ პრობლემებს, რომელიც საქართველოს წინაშე რეალურად დგას.

თვა ასათიანი. (გაზეთი "ასავალ-დასავალი", №11, 2009 წლის 16-22 მარტი)

ახლა სერიოზული საუბარი და მოლაპარაკებები მიდის იმის თაობაზე, რომ რუსეთმა უარი თქვას ყარსის ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში აჭარა ძალიან სასიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდება. გასული წლის აგვისტოში თურქეთის პრემიერი ერდოღანი ვიზიტით გახლდათ მოსკოვში, საუბარი იყო ამ თემაზე და მაშინ ცოტა იმედგაცრუებული წავიდა, მაგრამ ერთი თვის წინათ ისევ იყო ჩამოსული და გაიმართა სერიოზული მოლაპარაკება. არ ვიცი, იყო თუ არა საუბრის დროს რაიმე პირობა რუსეთის მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ თურქეთს ოფიციალურად შეატყობინა, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა უარი თქვას ამ ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე. ამას სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისათვის.

როდესაც მე წლების წინ ვამბობდი, თუ სასწრაფოდ არ მივიღებთ ზომებს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაკარგავთ-მეთქი, მეუბნებოდნენ, ამერიკამ ამას არ დაუშვებს. როცა მე ვამბობდი, რომ არ შეიძლება ჩვენი სამხედრო ძალა შევიდეს ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რადგან რუსეთი შევა და დაცავს მათ-მე-

დგას, ვიდრე საქართველო. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისი. ასევე აქტიუალურია ირანის პრობლემა, ახლო აღმოსავლეთი. და მაინც, უპირველესი თავისტიკივლი ამერიკისთვის არის ავღანეთი. ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს ამ საკითხებზე იქნება საუბარი და საქართველოს თემა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ერთ-ერთი არგუმენტი ამ დიდ ვაჭრობაში.

საბოლოოდ ვაჭრობა დასრულდება იმით, რომ საქართველო იქნება მიტოვებული. მე ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა მოხდება ეს თუ მოგვიანებით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ახლა კიდე ერთი დიდი საფრთხე დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. უახლოეს მომავალში შეიძლება შეიქმნას ახალი ტერიტორიული პრობლემა. ეს არის თურქეთის თემა, კერძოდ, ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თემა.

– ამის თაობაზე ჩვენს ერთ-ერთ ინტერვიუში ვისაუბრეთ, რაიმე ახალი ინფორმაცია გაქვთ აღნიშნულთან დაკავშირებით? – მაშინ ვთქვი, რომ არის საშიშროება, თურქეთმა მოითხოვის აჭარის რეალური ავტონომიის აღდგენა.

რუსეთს დღეს არავითარი მოგება აქედან არ ექნება. არის მოსაზრება, რომ შეიძლება ომის პროვოცირება მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ქვეყნიდან გაძევებულ იქნას არა ქართველი ხალხის, არამედ რუსული ჯარის მიერ და ამით მოიპოვოს წამებული, ძალით გაგდებული მთავრობის სტატუსი.

სხვა მხრივ, ომის განახლების მიზეზი არ არსებობს. ოსებმა და აფხაზებმა თავიანთი საქმე გააკეთეს. როგორც აფხაზებიდან ვიცი, იქ წახვედრად ხუმრობით ამბობენ, ორ კაცს უნდა დაეუდგათ ძველი, ვლადიმერ არძინბას და მიხეილ სააკაშვილს. მათ სწორედ სააკაშვილის საშუალებით მიმალნიეს იმას, რასაც მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოიდგენდნენ.

– ომის განახლების მიზეზად სახელდება ის, რომ რუსეთმა საქართველოში თავის საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია...

– მიზანს აფხაზებმა და ოსებმა რომ მიაღწიეს, ეს ფაქტია. რაც შეეხება იმას, მიაღწია თუ არა რუსეთმა თავის მიზანს, რუსეთს არც ის ჰქონდა გამიზნული, რაც აგვისტოში მოხდა. მათი სურვილი სააკაშვილის დაპატიმრება ან ჩამოგდება რომ ყოფილიყო, არ განჩინებდნენ თბილისთან და ამაში ვერაფერი შეუშლიდათ ხელს.

– აპრილში მედვედევისა და ობამას შეხვედრა იგეგმება. შეიძლება წინასწარი პროგნოზი, რა დათმობებზე შეიძლება წავიდეს ამერიკა რუსეთის წინაშე საქართველოსთან მიმართებაში?

ქართველობის ძირითადი შენაჩენი

იბერიულ კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს (ზოგიერთი ქართველი ენათმეცნიერი ამ უკანასკნელს დამოუკიდებელ ოჯახად მოიხსენიებს), რომელშიც შედის ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური (იგივე — ჭანური), განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს განსაკუთრება, რადგან ამ ენათა შორის ქართული ერთადერთია, რომელსაც 15-საუკუნოვანი დამწერლობა გააჩნია და, ამასთან ერთად, გამორჩეულია მსოფლიოში ალიარებული ლიტერატურითა და ისტორიული მემკვიდრეობით. ცნობილია ისიც, რომ სხვა ქართველურ ენებს დამწერლობა არ გააჩნიათ და მისი შექმნის რეალური ცდაც არ ყოფილა. მათ ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდათ საერთო ქართველურში. ამიტომ ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული მონათესავე უმწერლობო ქართველური ენების ყოველმხრივ შესწავლას. ეს მით უფრო აუცილებელია და საშურიცაა დღეს, როცა

ქართული სალიტერატურო ენის სულ უფრო მზარდი ზეგავლენის შედეგად მეგრული და სვანური თანდათან კარგავენ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს (იგივე ითქმის ლაზურზეც, რომელიც თურქული ენის ზეგავლენას განიცდის).

როგორც მეგრულ-ქართული ლექსიკონის რედაქტორი ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზურაბ სარჯველაძე გვამცნობს: ქართველური ენების ისტორიის მკვლევარები დიდი ხანია მზავდნენ გრძნობდნენ მეგრულის ვრცელი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობას. აკაკი შანიძემ ნახევარი საუკუნის წინათ ეს საქმე ოთარ ქაჯაიას დააკისრა. იგი უდიდესი გულისყურით, მონდომებითა და სიყვარულით მოუვიდა საქმეს. ათეული წლის მანძილზე აგროვებდა მასალებს სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში, იყენებდა სხვა სპეციალისტების ნაშრომებს, პრესაში გამოქვეყნებულ ტექსტებს.


სუთი ათეული წლის დაძაბული, თავდადებული შრომის შედეგად შეგროვილია დიდადი უნიკალური, უაღრესად საინტერესო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სანდო მასალი, რისი წყალობითაც, ვფიქრობთ, ოთარ ქაჯაიას ნაშრომი ქართველოლოგიური მეცნიერების საგანძურში საპატიო ადგილს დაიკავებს. (უკვე გამოიცა ქართულ-მეგრული ლექსიკონის სამი ტომი, მეოთხე ტომიც მზად არის გამოსაცემად).

გამოცემულ სამტომეულთან დაკავშირებით რეცენზია დაწერა ცნობილმა მეცნიერმა, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ზურაბ ჭუმბურიძემ, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

გაზეთი "ილორი"

ქართველური ენებისა და დიალექტების ლექსიკონის შეკრებასა და მეცნიერულ ანალიზს განუმეორებელი მნიშვნელობა აქვს ამ ენებისა და დიალექტების შესწავლისათვის და მათზე მოლაპარაკე ტომების ისტორიის გარკვევისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, მათი შესწავლა დიდი ხანია სპეციალისტების საგანგებო ყურადღების საგანია. ამ მხრივ, ცხადია, ქართულ ენასთან ერთად მეგრული ლექსიკონიც იმყოფება და იმყოფება, პირველ რიგში, ყურადღებას.

ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ადრეულ ეტაპზე მეგრული ლექსიკონის შეკრებისა და ისტორიულ-შედარებითი



ოთარ ქაჯაიას "მეგრულ-ქართული ლექსიკონის" შესახებ

ანალიზის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, რომლის კვლევა-ძიების შედეგებიც ამ მიმართულებით წარმოდგენილია მისი "მეგრული იტიუდების" II ნაწილი (19806).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პეტრე ჭარაიას ვრცელი ნაშრომი "მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალები)", დაბეჭდილი ჟურნალ "მოამბის" ფურცლებზე (19855. №12 და 1986 წ. №1,2). მასვე ეკუთვნის საკმაოდ ვრცელი მეგრულ-ქართული ლექსიკონი და ამავე ენათა შედარებითი ლექსიკონი, რომლებიც დიდხანს დარჩა გამოუცემელი. მათგან მხოლოდ პირველი იხილა მზის სინათლე 80 წლის შემდეგ — 1997 წელს, მეორე კი ჯერ კიდევ გამოუცემელია. 1997 წელს დაიბეჭდა აგრეთვე გივი ელიაშვილის საკმაოდ დიდი მოცულობის ნიგანი — "მეგრულ-ქართული ლექსიკონი"; მაგრამ ეს ნიგანი მინც ვერ იძლევიან სრულ წარმოდგენას კოლხური ენის ლექსიკონ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე.

ამ ფონზე ფრიად იშვიათი და სასიამოვნო მოვლენაა ოთარ ქაჯაიას სამტომიანი "მეგრულ-ქართული ლექსიკონი". ამ ტომების საერთო მოცულობა 2.000 გვერდამდე აღწევს და 80.000-მდე სიტყვას შეიცავს. ეს არის მარ-

თლაც ტიტანური შრომის ნაყოფი, რომლის გადაჭარბებით შესრულებაც შეუძლებელია.

ლექსიკონში წარმოდგენილ თითოეულ სიტყვას თან ახლავს სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი უხვი სალიტერატურული მასალა, რომელიც ხელს უწყობს სიტყვის მნიშვნელობის ზუსტად გაგებას.

პირველ ტომს წინ უძღვის ლექსიკონის ავტორის წინასიტყვაობა და შესავალი წერილი, რომელიც ლექსიკონით სარგებლობის წესებს ეხება. აქვე წარმოდგენილია ვრცელი (125-გვერდიანი) ნაშრომი, რომელსაც ავტორი "ძირითად ტაბულებს" უწოდებს, სინამდვილეში კი ეს არის უაღრესად საინტერესო და ორიგინალური გამოკვლევა მეგრული ფონეტიკური სისტემისა და მორფოლოგიური სტრუქტურების შესახებ.

ცალკე აღსანიშნავია დანართი III ტომის ბოლოს, სადაც წარმოდგენილია სინონიმთა ვრცელი სიები ცალ-ცალკე თემატური ჯგუფების სახით.

ლექსიკონი გამოიცა "ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის" სერიით ან განსვენებული პროფესორის ზურაბ სარჯველაძის რედაქტორობით, რომელმაც საერთოდ დიდი ამაგი დასდო ამ ლექსიკონის გამოცემის საქმეს. I ტომს ერთვს მისი წერილიც ("რედაქტორის აკანა"), სადაც დახასიათებულია მეგრული ლექსიკონის

შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და წარმოდგენილია მეგრულთა და ლაზთა სატომო სახელეების ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, სრულ საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ოთარ ქაჯაიას "მეგრულ-ქართული ლექსიკონი" ქართული ლექსიკონოგრაფიის და საერთოდ ჩვენი მეცნიერების ძვრისათვის შესაძენია, რომელიც განძად დარჩება მომავალ თაობებს.

ამ ლექსიკონის ღირსებასა და დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მის საფუძველზე გერმანიაში მომზადდა და უკვე გამოიცა ოთარ ქაჯაიას და ჰაინც ფენრიხის "მეგრულ-გერმანული ლექსიკონი".

ჯერ კიდევ "მეგრულ-ქართული ლექსიკონის" პრეზენტაციის დროს გამოითქვა აზრი, რომ ეს ნიგანი ღირსი იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე წარდგენისა. ამ აზრმა საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო ორგანიზაციებისა და პრესის მხრივ ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. ამჟამად, რამდენადაც ვიცით, ეს საკითხი უკვე დგას პრემიების კომიტეტში.

ჩვენი აზრით, სარეცენზიო ნიგნისათვის სახელმწიფო პრემიის მინიჭება იქნება ღირსეული დაფასება მეცნიერის მიერ განეული ნახევარსაუკუნოვანი შრომისა, რასაც ჩვენ სულით და გულით მივსალმობთ და მხარს ვუჭერთ.

ზურაბ ჭუმბურიძე, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



— როგორ და ვინ დაინცო ომი აფხაზეთში?!

...ჩვენ, ზემოთ 12 აგვისტოს მოტივზე ვისაუბრებთ. სწორედ ამ მიტინგზე მიეცა მორალური უფლება შევარდნაძის შეიარაღებულ ბანდებს, კიდევ ერთხელ დაძვლიყენენ სამეგრელოსკენ (ამჯერად ტაშის გრილის ქვეშ, დედაქალაქის შუაგულში, საქართველოს აღმაშენებელი მეფის ძეგლის წინ ხუთასამდე ადამიანი, ისინი ვინაც გადაწვა და დაამხო კანონიერი ეროვნული მთავრობა, იძლიოდა ამ უფლებას) და საკუთარ ბუნებაში გაენადგურებინათ: **"მტერი — სამეგრელო!"**

...ეროვნულმა დაუმორჩილებლობამ თბილისში, რამდენჯერმე, მრავალათასანი დემონსტრაციების დახვედრის შემდეგ,

სამეგრელო 1990-1992 წლებში

დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა. ცხადია ზუგდიდი იყო წინააღმდეგობის ცენტრი, მაგრამ მთავრობის მოსალოდნელი, მორიგი ეგზეკუციის წინ, ადვილად ხერხდებოდა წინააღმდეგობის ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება, სადაც ისედაც ამაღლებული ქართულ-ეროვნული სულიერება სუფევდა ყოველთვის. ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა: მტრების მიერ ნაქეზებული სეპარატისტებისგან, ქართველებისადმი აგრესიულად განწყობილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისგან, დევნას და ჩაგვრას მიჩვეული იყო აქაური ქართველი, მაგრამ თვითონვე უმკლავდებოდა პრობლემებს და ნაკლებად ანუხებდა დედა სამშობლოს, მითუმეტეს მის დედაქალაქს, რაც მუდამ თვალშისაცემი იყო, მაგრამ არასოდეს ჰქონია საქართველოს ერთიანი მთავრობის მხარდაჭერა.

— ამიტომაც სოხუმი, სამეგრელოსთან და თბილისთან ერთად დასაწყისიდანვე იყო ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი (ჩვენ ამ თემასაც მივუბრუნდებით მოგვიანებით საფუძვლიანად...). ცხადია შევე-

არდნაძის ანტიქართული ძალებისთვის ყველაფერი ეს ცნობილი იყო და მუდამ იყო იმის მტკიცელობა, თუ როგორ უნდა "მოველოთ" ამ საქმისათვის. პირდაპირი შეჭრა, სახიფათოსთან ერთად პოლიტიკურადაც გაუმართლებელი იყო. ამიტომ უნდა მოეძებნათ სხვა მიზეზი, რაც ძირითად მიზანს გადაფარავდა.

ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი სარკინგზო ტრანსპორტის დაცვა აღმოჩნდა, რომელიც შევარდნაძის დაქირავებული ბანდებისგან დღენიდაც იძარცვებოდა...

სწორედ ამ მომენტს დაემთხვა ყარყარაშვილ-ქუთათელაძის მორიგი ლაშქრობა დასავლეთში... ..ჩემთვის, მთავრობის გადანაცვებილება ნათელი იყო, მიტინგზე სწორედ ის ითქვა, რაც მომიტინგეებს მთავრობამ დაავალა და სწორედ ის გახმოვანდა რესპუბლიკის მოედანზე. მე მეტი არაფერი მქონდა საძიებო და საკვლევი. შუადღის სამ საათზე მე და ჯენერი მაგალობლიშვილი გორს ვიყავით უკვე გაცილებული.

სენაკში, სასტუმროს შენობაში ჰქონდა იმ დროს შტაბი მონაცობილი საქართველოს კრიმინალურ ხელისუფლებას. ექვს საათზე მივადექით სენაკის სასტუმროს, რომელსაც შსს-ს გაძლიერებული ქვედანაყოფი იცავდა. როგორც კი გადმოვედი მანქანიდან, იმ წუთშივე მიცნო ერთერთმა მაღალი ჩინის ოფიცერმა. ჩემი გვარის გაგონება რომ სიხარულს არ გამოიწვევდა უცხო არ იყო, მაგრამ ნახევარმა ჯარმა საბრძოლო პოზიცია რომ დაიკავა, შიშის რა გითხრათ, მაგრამ სიამაყის და მათი შეცოდების გრძნობა მართლა დამეუფლა.

ჩემს წინ აშვებთ ორ აულაყუდას მოვახსენე, რომ ტელეურნალისტი დავით ქობალია ვარ მოსული და შტაბის უფროსთან შეხვედრა მოვითხოვე. ამასობაში შტაბში უკვე იცოდნენ ჩემი მოსვლის შესახებ და ნებართვაც დაშვებულ იყო, მაგრამ გულიანად მაინც გამჩხრიკეს, ვიდეო და ფოტოკამერები დროებით ჩამომართვეს და ასე აღმოვჩნდი ბატონ ავთანდილ ჯაშთან, რომელიც იმჟამად იქაურობას ხელმძღვანელობდა. მართლაც კარგად მიმიღეს და ბუნებრივია სტუმრობის მიზეზიც მკითხეს.

მე დაუფარავად მოუყევი დილანდელი მიტინგის და იქ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ასევე დაუფარავად განუცხადე — თუ მსგავსი რამ მოხდება,

პირველი მე დავხვედები ტანკებს ზუგდიდში ჩემი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით და ჩვენ ვიქნებით მეთქი მათი პირველი მსხვერპლი, ვიდრე სამეგრელოს მინასთან გაასწორებდნენ.

გაოცებული მიყურებდნენ იქ მყოფნი, ვერც ვერაფერი მითხრეს, მხოლოდ ის მოახერხა ბატონმა ჯაშმა — **"ჩვენ არაფერი ვიცით, ახლავე დაუკავშირდებით თბილისს და ყველაფერში გავერკვევით"**. თბილისთან დაკავშირება რამდენიმე საათს გავრძელებდა, ყველას ეტყობოდა ფარული თუ აშკარა ნერვიულობა. ერთ მომენტში ჩემი მეგობარი, მძლიერი მოვიკითხე და ქვემოთ ჩასვლა დავაპირე,

მითხრეს იგი უყურადღებოდ არ არის, ჩვენ ერთად ვივახშმოთ, ამასობაში ახალი ინფორმაცია გვექნებოდა...

არ დაუშალავთ, რომ ჯარი და მიიმე ტექნიკა მართლა წამოვიდა თბილისიდან, მაგრამ არა იმ მიზნით, რაც მე ვახსენე. საყურადღებოა, იმ დღეს არავის უხსენებია, რომ ჯარი რკინიგზის დასაცავად მოდიოდა თბილისიდან. ეს რომ ასე ყოფილიყო, ამას მე არავინ დამიმახვავდა და ჩვენში რომ ვთქვით, არც არაფერი იყო ამაში **გაგრძელება მე-5 გვ**

ფაზისი — ძველი კოლხური სივილიზაციის საგაჭრო სანაოსნო ქალაქი

ნახალი ნახალი

По императорскому указу Поти с 1 января 1859 года объявлен городом, а двумя годами ранее его объявили портом. Вы видели, что это за порт, посмотрим, какой город выйдет через два года.
დიუმა – „კავკასია“



რუსეთის იმპერიაში, რომლის სამხრეთ კარიბჭეს საქართველო წამოადგენდა XIX საუკუნიდან კაპიტალისტური ფორმაციის ჩამოყალიბების პროცესი სწრაფად წარმოართ. შემოერთებული რაიონების ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება და უცხოეთში გატანა ზღვით მატად მოხერხებული იყო და ამდენად ფოთს, რიონზე ნაოსნობის გამოყენებით მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა.

ფოთსა და ოპორს შორის გემების მიმოსვლა რიონზე, 1858 წლის მაისში დაიწყო. გემების „ატერმანი“, „კნიაზ ბარიატინსკი“, „გოლუბჩიკი“, „სეტრიცასა“ და სხვათა რეგულარული მიმოსვლამ შესაძლებელი გახადა ტვირთების გადაზიდვა და მგზავრების გადაყვანა.

ფოთი რომ დიდი და ქვეყნისთვის სასარგებლო ნავსადგური გამხდარიყო, ამისთვის აუცილებელი იყო ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა: უსაფრთხო და მოხერხებული გემმისადგომის აგება და რაიონის ნაპირების გამაგრება და ჭაობის დაშრობა.

ფოთის ნავსადგურის ერთ-ერთი მშენებელი და მისი რამოდენიმე პროექტის ავტორი სავროვი ფოთის კომერციულ ნავსადგურად გახდომის პერსპექტივას იძლეოდა, რისთვისაც საჭირო იყო საიმედო, ხელოვნურ ნავგებობათა აშენება ძლიერი ქარისა და ზღვის ლეღისაგან დასაცავად. მან ამ მიზნით ხის გამოყენებით ააგო, მაგრამ ხის ბოძები ქარმა ადვილად დაანგრია, ნყალში მყოფი ნაწილი ზღვის ჭიბჭიამ გამოღრწეა. სავროვმა სენაკის მახლობლად სოფელ თეკლათში, ქვისა და ჰირდავილიკური ცემენტის კარიერი აღმოაჩინა, ააგო ცემენტის ქარხანა და 1873 წელს ახალგაზრდა სამხედრო ინჟინრის ჟარინცივის პროექტით დაიწყო ნავსადგურის მშენებლობა, სადაც საძირკველისთვის იყენებდნენ თეკლათიდან დატვილი ქვას

და ბეტონის მასივებს, ძლიერმა შტურმმა ჯებირის ნაწილი მაინც დაამსხვრია. 1889 წელს პალკოვნიკ მაიერის პროექტით აიგო ტალღის მჭრელი ნავგებობა: დაიხურა გემებისათვის დასავლეთი შესასვლელი და გზა ჩრდილოეთ ჯებირიდან გაიხსნა, მაგრამ მთლიანად ვერ იქნა უზრუნველყოფილი გემების უსაფრთხო მიღება. 1893 წლის შემოდგომაზე ძლიერმა ქარმა ლუზას მონყვიტა და დააზიანა გემები **„ექსელსორი“, „ალექსანდრე“** და სხვა. ფოთის ნავსადგურის გადაკეთების ახალი და ყველასაგან განსხვავებული გეგმა შეიმუშავა პროფესორმა ვოზნესენსკიმ, რომლის მიხედვით ჯებირებით შემოსაზღვრული შინაგანი საზღვაო მოედანი, გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარტო წინა ნავსადგურად, ხოლო კაპოტაყური გემებისა და ნავების დასადგომად უნდა გაყვანილიყო სპეციალური არხი რიონამდე, რომელიც შეუერთდებოდა მთავარ ნავსადგურს და შეიქმნებოდა ტალღებისთვის მიუწვდომელი კომბინირებული ტერიტორია. ვოზნესენსკი რთულ ტექნიკურ ნაკეთობათა გადაკეთების ნაცვლად იოლ და იაფფასიან მეთოდს იძლეოდა.

ვოზნესენსკის პროექტის პრაქტიკული განხორციელება წილად ხვდა გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც თვლიდა, რომ ფოთისა და მისი ნავსადგურის მშენებლობა ერთმანეთისაგან განუყოფელია.

„საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველყოფილი ძალები, რომლის მოქმედება ერის ზრდას აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, გზებს, არხებს,“

პორტებს, ვაჭრობას, მრეწველობას, ჯანმრთელობას, თვითმმართველობას. ნ. ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძის ჩამოსვლით ახალი ეტაპი იწყება ქალაქ ფოთსა და მისი ნავსადგურის მშენებლობაში. პროგრესულად მოაზროვნე დიდი ქართველი თვლიდა, რომ 1872 წელს გახსნილი რკინიგზის საშუალებით ნავსადგური დაუკავშირდებოდა სხვა ქვეყნების მაგისტრალურ ხაზებს. ფოთი გადაიქცეოდა დიდ სავაჭრო ქალაქად, ამით საქართველო დაუახლოვდებოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს და ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდებოდა. მერობის პირველივე წლებში მისი ინიციატივით, ოდესიდან ჩამოიტანეს მინის ამოსახრელი მანქანა, პარიზიდან ზღვის ღონის მერყობის საზომი, ნავსადგური გაანათა ორი რეალექტორით, პეტერბურგიდან მიულერის სახელოსნოში დამზადებული ქარის მიმართულებისა და სიჩქარის თვითჩამწერი ხელსაწყო, გაამაგრეს რიონის შესართავის ნაპირები, ნასადგურში დააყენა და ააშენა ორი ელექტორი და სხვა.

1899 წლის 4 აპრილს საზეიმო ვითარებაში, საფუძველი ჩაეყარა ვოზნესენსკის პროექტის მშენებლობას. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ აკურთხა ის ადგილი, სადაც ნავსადგური უნდა აშენებულიყო. ინჟინერმა მაიერმა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„ნავსადგურის საქმე ლაფში ჩაფლული ურემივით იყო, ვიდრე ბატონი ნიკოლაძე არ ჩაუდგა სათავეში. თუმცა ამ მხნე მუშაკს დიდი აღმართი შეხვდა, მაგრამ იგი არ შეუდრკა არავითარ დაბრკოლებას და ეს ძნელი საქმე ბოლომდე მიყვანა.“**

ნავსადგურის მშენებლობასთან ერთად სახეს იცვლიდა და კეთილმოწყობილი ხდებოდა ქალაქი ფოთიც. იგი საქონლით სავსე, პორტის მქონე მრავალ გემთა საყუდელი, ტყეცილი გზებით, ელექტროობით გაშუქებული კაპიტალიზმის გზაზე წინ მიმავალი თვითმმართველობის ქალაქი გახდა. ნიკო ნიკოლაძემ ფოთის მერად ყოფნის 20 წლის მანძილზე უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა ქალაქისა და მისი ნავსადგურის აღორძინების საქმეში. მას გემმაში ჰქონდა აეგო ფერომანგანეცის ქარხანა, რომელიც მდინარე ენგურზე აშენებული ელექტროსადგურის სიმძლავრის გამოყენებით იმუშავებდა. ასევე ფიქრობდა გროზოდან ფოთამდე ნავთობსადენის გაყვანას. მართალია, ბევრი რამ შეუსრულებელი დარჩა, მაგრამ რაც მან ფოთისა და მისი ნავსადგურის დაწინაურებისთვის გააკეთა, აღმატება ჩვეულებრივი ადამიანის ენერგიას.

XX საუკუნეში გიორგი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„დასავლეთით ფოთი შეიქმნა კავკასიის ყურე ევროპისკენ მიქცეული და აღმოსავლეთი – ბაქო აზიისკენ მიქცეული“**. პირველმა მსოფლიო ომმა და 1917-21 წლებში მენშევიკებისა და ბოლშევიკების ბრძოლამ ფოთშიც იჩინა თავი და ბევრი ნეგატიური შედეგი მოჰყვა.

1921 წლიდან ფოთი საბჭოთა კავშირის საზღვაო სავაჭრო ქალაქია. საქართველოს მისდევნე ათეული საუკუნეები, მაგრამ იგი ფენიქსივით განახლებული მიდის შეუდრეკელად. მემატიანეები იქნა ცხვირს თვალებს დევნებით, მისი წარსული უხსოვარ სიზმარშია დაკარგული და კიდევ ახალი სიზმრები ელოდება მის თვალებს.

მიხეილ ჩოდრი შვილი

დღეს არა სააკაშვილის, არამედ საქართველოს ყოფნა – არყოფნის საკითხი ნყდება

უკვე აშკარად ჩანს, რომ სახელისუფლო სავარძლებითის ბრძოლაში გართულ ჩვენს პოლიტიკოსებს სამშობლოზე ფიქრისთვის დრო ნაკლებად ემეტებათ. ქვეყნის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემები მათ საქმიანობაში სულ უფრო მცირე ადგილს იკავებს. ამ ფუჭ და უსაგნო ორომტრიალში ახლახან კიდევ ერთი შემაშფოთებელი ინფორმაცია გაიბნა. საქმე ეხება 3 მარტს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც აჭარის მომავალ უკავშირდება. როგორც ირკვევა, კრემლი აჭარის თემაზე თურქეთის მთავრობას მოლაპარაკების დაწყებას სთავაზობს. თუკი თბილისი ვერ შეძლებს ყარსის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი პირობების შესრულებას, მოსკოვი მზადაა, უარი თქვას ამ დოკუმენტზე. წინასწარმეტყველებს რა საქართველოს დესუვერენიზაციას, მინისტრი ლავროვი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, აჭარას თურქეთი დაეუფლოს. ეს განცხადება თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 28 თებერვალს შესულა, რასაც ანკარის მხრიდან მხილოდ ორანზოვანი

და ბუნდოვანი რეაქცია მოჰყოლია. ცნობილია, რომ ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 13 ოქტომბერს რუსეთ-თურქეთის მიერ იქნა ხელმოწერილი. 1992 წელს კი შევარდნაძე-დემირელის თანხმობით მას ვადა გაუგრძელდა და დღემდე მოქმედებს. ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის როგორც ადმინისტრაციული, ასევე კულტურული და რელიგიური ავტონომია. ამასთან, თურქეთის მხარეს უფლება ეძლევა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე თავისუფლად გამოიყენოს ბათუმის საზღვაო პორტი. ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაკეთებული ზემოხსენებული განცხადება უფრო პანიკის დათესვას ემსახურება და დღესდღეობით რეალურ საფრთხეზე საუბარი მათ ნაადრევად მიაჩნიათ. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ამით რუსეთს ნამდვილად შეუძლია ქართული მხარის შანტაჟ-

ირება. ისიც შესაძლებელია, რომ ევროკავშირის იგნორირებით განაწყენებულმა თურქეთმა „აჭარული კოზირი“ სათავისოდ გამოიყენოს და ამ მიმართულებით საკუთარი ძალების ერთგვარი დემონსტრირება მოახდინოს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჩვენი ბედის ბოროლი კვლავ უკუღმა ტრიალებს და გარემო მხოლოდ ახალ-ახალი საფრთხეები ისახება. სხვათა შორის, მათ შესახებ ზუსტად თორმეტი წლის წინათ სკრუპულოზულად მიუთითებდა ჩემ მიერ არაერთხელ დამონმებული ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. ამჯერად გთავაზობთ 1997 წელს გამოქვეყნებული მისი ერთ-ერთი პუბლიკაციის მეტად საგულისხმო ამონარიდს, რომელიც ალბათ, დღესაც სერიოზულ საზოგადოებას: **„ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზედ სასტიკი გადაწარმოების პერიოდში, როცა ნყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი. იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ეს**

ტექნიკური თვალსაზრისით, ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვჭირდება განჯჯა სხვა ქვეყნების მაგალითზე (თუმცა მსოფლიოში ამის მაგალითი საკმაოა); ჩვენ გვქონდა საშუალება, დავრწმუნებულყავით ამაში: აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველო უკვე აღარ ეკუთვნის, თანაც, აფხაზეთი ზუსტად ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განაპირობებს. აფხაზეთის გარეშე ეს მნიშვნელობა განახევრებულია. მეორე ასეთივე მნიშვნელობის რეგიონი არის აჭარა... აი, თურქეთში უკვე გამოიცემა წიგნები, იბეჭდება სტატიები, რომლებშიც გვიმტკიცებენ, რომ „აჭარელი ხალხი“ თურქულ ეთნოსს მიეკუთვნება, ისმის მონოდეტები, შეწყდეს „აჭარელთა ასწლიანი ძალდატანებითი გაქართველება“, პარალელურად გაშლილია XIX საუკუნის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების გადახედვის ძლიერი კამპანია. ლაპარაკია იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვით, თურქეთმა დაუთმო რუსეთს ტერიტორია, მათ შორის,

ჯავახეთიც და აჭარაც. არგუმენტი მოჰყავთ სერიოზული: თურქეთმა დაუთმო ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიას, რომლის უფლებათა მემკვიდრე იყო საბჭოთა კავშირი. დღეს არ არსებობს არც რუსეთის იმპერია, არც სსრკ, საქართველო კი დამოუკიდებელი ქვეყანაა. ამიტომ ის ხელშეკრულებები ძალას კარგავს. თურქეთს საქართველოსთვის აჭარა არ დაუთმია... აჭარაზე კონტროლის დაკარგვასთან ერთად საქართველო კარგავს მეორე (აფხაზეთის შემდეგ) რეგიონსაც, რომლის გარეშე გეოსტრატეგიული მდგომარეობის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.

თუკი ვავითვალისწინებთ, რომ 3-6 ალ. ჭაჭიას ყოველი ანალიზი მუდამ მყარ კომპეტენტურ არგუმენტაციას არის დამყარებული, ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა მშვიდად ყოფნის უფლებას ნამდვილად არ იძლევა. უფრო მეტიც: შესაძლოა, დღეს მხოლოდ პრეზიდენტის კი არა, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც ნყდებოდეს.

ნოდარ ქორიძე

ხსოვნის სტრიქონები
 ნაწევრებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავად მეგრული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გათავაზობთ გაზეთ "ილირი"-ში. 113-ე წელი იღვწავს პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

დანიელ ფიფია


მურე თესხი სქერესქენი ბუხა-ბუხათ მესოფუნცი? მუ კოჩირე თელაშქარც კანდიორუ ანოჯლუნცი? ვარა მურე უკახალე თეზმა კოჩი ეკოყუნცი? დადიამ ნოსა გურიელზე მურეც მუმი ჯალაბითა, ეკაფაფუ თავადეფი ძიცა-პირა-ლაყაფითი. მუსუ ლოგინც ქივლუნჯირგ დარაიაში ხალათითვ ვითი კოჩი ათანტილვ მელულ ჩაკალ-ჩაკალით. ნობლუ ჯღონც ბოში კოჩინი თე პატრონიშ სკუა ორე, თეცალ სქვამი მესაჯინე ოდიშისვ შხვა მინორე; ტანო ჩე ვას ქოჯურაფუ, თოლეფითე მიმინორე, ხვალეკ ართი მეჯინათე ანთას კოც გეგშეგორე. ვარყას გეხე მერეხისგ – ნურეცუ დო მილაყაფუ, ცხენი სადიოს ვაუჯერც – რხუმოლუა დოუჭყაფუ, ლაფში ნოლი დოუჭყოლვ ზისხირით დოულაფუ. ეთიზგმა ქუსოფინც ართის უფის გეუთქვაფუ. თოლიში ოჭირინაფუს მურეც დონკაპილი კოჩი, მინცგ ხოჯეფი მურაყ, მინცგ შხური – თხა დო ოჩი. ქოთომი-კვატას უჯინით ემერ გიძლ ლობილითვ; ამარი ჯოგი ჯოლორიში ორხე დოსინძოლირთვ; კოკათი ღვინი ოჩინერი, ჩიტის დუცუ სოფუნცგ ფერი, შონური, პანეში, ონჯალეში, კაპისთონი, ჩეჭიფეში, ანდანერი ურა-ჯეჟეში, არძო ყუბერ გიშნავორა არძო დგნადგმა ხეში. სამარგალოს ჯვირი-სქვამი მუთ ქორდუნი თაქ ვარენო – შხვას ულუნი მუშ ცალირე პატრონიშა ივარენო!

ბულათია

ეს რალაა ქარავანი გზას რომ ტალღად მიუყვება ან ვინ არის რომ ამ ლაშქარს კადნიერად მიუძღვება. მხრებზე ვილას ატარებენ, ძვირფას ნოსებდაფენილით. ეს რამდენი მიუყვება ხალხი გზაზე გაფენილი. მთავრის რძალი გურიელზე, მოსეირნობს ჯალაბითა, თავადები აცოლებენ სიმღერით და თამაშითა. ქალი ტახტზე განოლილა, აბრეშუმის ხალათითა, ათი კაცი ძლივას ზიდავს მიაქვთ ბორძივ-ბარბაცითა. ნინ ვაყვაცი რომ უძღვება ქალბატონის შვილი არი, ასე ლალად შესახედი მთელ ოდიშში ვინდა არის. ტანად ალვას შეეძრება, მიმინოსებრ თვალებს აჩენს, თუნდაც ერთი შეხედვითა, ათასებში გამოარჩევ. ულაყზე ზის უმოვარზე, მიქრის თამაშ-თამაშით. ცხენი აღვირს არ უჯერის ხრავს და გლეჯავს კბილებით. ჩახეული ლაშებიდან სისხლი დასდის დინებით. მას იმდენი უბრძოლია, სულმთლად ოფლისღვარში ცურავს. ასე თვალის სანიერზე გაჭიმულა კაცთ ლაშქარი, ზოგი ხარებს ერეკება, ზოგს კი მოჰყავს თხა და ცხვარი. ქათმებს, იხვებს დამიხედეთ შელობლით ატარებენ. მათეე მოჰყავს ძალღთა ხროვა, ორხეებში ქაქანებენ. ღვინოები რანაირი: შონურ, პანე, ოჯალეში მათობელად სერჩეული, კაპისტონი, ჩეჭიფეში, თეთრი, შავი, მრავალფერი, სანაქებო ძველისძველი, მარცვალ-მარცვალ დარჩეულით სასურველად დასალევი. სამეგრელოს კარგზე კარგი, რაც რამეა მოსახზარი, აქა აქვთ და სხვაც თუ არი, ვის გაუფა, აბა, ვარი.

კატრიარქი ლექსიებს ნაიკითხავს

საპატრიარქოს ინფორმაციით, ყოველ სამშაბათს, 15 საათზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ახალგაზრდებისათვის ლექციას ნაიკითხავს, უწმინდესის ლექციების მოსმენა მსურველებს შეეძლებათ ყოველდღე სამების საპატრიარქო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. უწმინდესის ლექციებს შემცვენებითი საუბრების პროგრამის სახე ექნება. კათოლიკოს-პატრიარქი სისტემატურად შეხვდება



მაფალუ


მინილი ძველბრძე
 "ჩემი ბავშვობისა და ყმანცილობის დროს ნილად მხედა საკმაოდ ინტიმურ გარემოებაში შეხვედრა საქართველოს რამდენიმე ფრიად ცნობილ, თუ შედარებით ცნობილ პიროვნებასთან. კათალიკოსი ამბროსი – ის იყო ამ დროს ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი. სოფელ ძველ სენაკში ჩამოსულმა, მან შეჰყარა სენაკის გარემო მდებარე სოფელთა მღვდლების ყრილობა. ეს კრება ჩვენს მამულში სახლის მახლობლად, მუხების და კოპიტების ჩრდილში გაიმართა... ჩემი მოვალეობა იყო, რომ მაგიდაზე მდგომი წყლის დოქი მუდამ ცივი წყაროს წყლით სავსე მდგარიყო. მე მაშინ დაახლოებით 10-12 წლისა ვიქნებოდი... ლაპარაკი ქართულ ენაზე ხდებოდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ზოგი მღვდელი, ნაწილობრივ მეგრულად, ნაწილობრივ ქართულად ლაპარაკობდა".

პროფესორი კონსტანტინე ბაბუნაძე (ჭანტუჩია)
 "...საყოფადებოა მეგრული ენის ვერბალური სიმდიდრე ენისათვის ფსიქოლოგიური სიღრმით და ისეთი ნიუანსების აღნიშვნით, რომელთა გარკვეულ ცნებაში გადატანა დიდ მეცნიერსაც გაუჭირდება".

სერგო ბერბე
 "მამა გულგრილი არ იყო სამეგრელოსადმი, თავის, როგორც იტყვიან, მცირე სამშობლოსადმი. იგი დედაჩემს სიცოცხლის ბოლომდე მეგრულად ელაპარაკებოდა. ეს მათი ბუნებრივი მოთხოვნა იყო".

სამხრეთ-აღმოსავლეთი ქართული ენისა და მისი სწავლების შესახებ
 "გაზეთი "მუშა", 1924 წელი
 "ეს მაზრა მთლიანად დასახლებულია მეგრელებით. ძველ დროში სწავლა-განათლება, როგორც ყველგან, რუსულ ენაზე იყო. ქართული ენა განდევნილი იყო არამც თუ სასამართლოებიდან და სკოლებიდან, ეკლესიებიდანაც, რადგან აქ სწავლა მიდიდა ვითომ რუსების ნინააღმდეგ.
 გალში გახსნეს სამწლიანი სამასწავლებლო სკოლა რუსი მასწავლებლების და მათი მიმყოფილებისათვის. შეიქმნა აკვანი, რომელიც ზრდიდა მასწავლებლებს სამრევლო სკოლებისათვის. საოსტატო სემინარიის ან ინსტიტუტის მნიშვნელობა შეჭრიდა 25 წლის განმავლობაში. მეტი წილი სამურზაყანოს მასწავლებლებისა აქედან არის გამოცდილი.
 1916 წელს პ. ჭარბიამ წერაკითხვის საზოგადოების მეშვეობით მოახერხა ქართული ენის სწავლების შემოღება გალის სკოლაში, მაგრამ სოხუმის ეპისკოპოსის ბრძანებით კვირამი ეთმობოდა 2 საათი და ისიც VI გაკვეთილზე. ასეთი ქართული ენის სწავლება ნაყოფს ვერ გამოიღებდა.
 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაეროვნებული იქნა სამურზაყანოს სკოლები. მაგრამ სამწინუხროდ, მასწავლებლებსაც დასჭირდათ გაეროვნება. საქმე მთავრობის დეკრეტით ვერ გამოსწორდა. მცირე კურსებმა ვერც ქართული ასწავლა და რუსულიც დაავიწყა მასწავლებლებს.
 პირველ კლასში გადიან დედაენის ლექსიკურ მასალებს. სახე-

ლმძღვანელო სავსეა ასეთი მასალებით...
 მასწავლებლებს ეკითხება მონაწილე: "როგორ იქნება მეგრულად ლოკოკინა და ხვლიკი?" მასწავლებელი, მონაწილემ რომ არ შეამჩნიოს, სწრაფად ეუბნება – "ლავეანი და ხირკე" (ქვევერი და ორშიმო – გ.ციციშვილი). გამოცდილი მასწავლებლები მეგრულად ან რუსულად ლაპარაკობენ...
კომენტარი: გაეროვნების დეკრეტით ქართული მასწავლებლებს რომ ვერ ასწავლა და კრებებზეც კი ქართული არ ისმოდა, ხოლო მონაწილე ბავშვებს "დედაენის" მასალიდან ხელიკსა და ლოკოკინას ქართულად რომ ვერ უთარგმნიდნენ, გასაგები უნდა იყოს რა მდგომარეობა იქნებოდა გლეხობაში.
ისაბ ჭანბი მებრძული ენის შესახებ
 (ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის II პლენუმი, 1929 წელი, 31 მარტი)
 "...გამომიძახა ლოლობერიძემ და მითხრა: ისაკ, შენ როცა მეგრულად ლაპარაკობ ნონასწორობას კარგავ". ნონასწორობის დაკარგვა არც ერთ საკითხში არ ვარგა, არც მეგრულში და არც ფრანგულში. მე ნონასწორობას არ ვკარგავ. ყველა საკითხში ასე



ვარ, თუ გინდ სასოფლო-სამეურნეო საკითხში იგივე ტემპით გამოვიდეთ და ვიცავ საქმეს...
 მარქსისტულ-ლენინური მსაზრაველადეგობით ენა არის საშუალება და არა პრინციპი. ჩვენი მონინააღმდეგეები მიგვითითებენ წარსულში, რომ ეს უნდა ყოფილიყო მიზანი (მხედველობაში ყავს ე.წ. "მაფალუელი" ავტონომისტ-სეპარატისტები – გ.ციციშვილი), მაგრამ ეს არ არის მიზანი და პრინციპი, ეს არის მხოლოდ დაშუალება.
 რატომ დავაყენეთ ცეკას ნინამე მეგრული ენის საკითხი? ყველა ის გლეხობისატვის საჭიროა უბრალო ელემენტარული საკითხები მათთვის გაგვეშუქებია, გავაგებოთ მშრომელ გლეხობას მშობლიურ ენაზე ის, რის გაგებას მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები. ეს საკითხი დაყენებული იყო 1925 წელს, მაგრამ მახინჯი, არამარქსისტული ხასიათი მიიღო იმიტომ, რომ ეს საკითხი კი არ გამოდიოდა პარტიის ინიციატორობით, მისი ჩარჩოებიდან, არამედ ვისაც მოესურვებოდა, ის სვამდა ამ საკითხს. აქ ნამდვილი დომხალი იყო. ეს საკითხი დაყენებული იყო პარტიის გარეშე, ამიტომ იყო რომ ამ საკითხმა მიიღო, ვიმეორებ,

მახინჯი სახე, თითქოს საბჭოთა საქართველო სამეგრელოს ჩაგრავს და რალაც ასეთ უმსგავსეობას და საზოგადოებას ჰქონდა ადგილი. მასინ ზუგდიდის პარტიულმა ორგანიზაციამ გაილაშქრა ყოველგვარი ამ უმსგავსეობის ნინააღმდეგ და კიდევაც ჩავაჩუმეთ. ვინც არ უნდა ყოფილიყო ასეთი ლაეობის ავტორი, ჩვენ უფლებას არავის არ ვაძლევდით ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობისა და ის სწორედ ჩვენმა მონინააღმდეგეფებმა ამით ისარგებლეს და ერთ მშვენიერ დღეს რუსთაველის თეატრში 1925 წელს იწვევენ საჯარო კრებას ნამდვილი მენშევიკები, შავრამელები და პირდაპირ აფურთხებდნენ მშრომელ გლეხობას.
კომენტარები: ი.ფვანია მართლაც შეუპოვარი და საქმისათვის თავდადებული პიროვნება იყო. მონინააღმდეგეების სახით მას მხედველობაში ჰყავს "ნოთელები" რომლებმაც მეგრულ ენაზე თერთმეორედებით გამოცემული გაზეთის აკრძალვის გამო მუხი დაატყეს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს. მათი ვაცხოველებული თავდასხმის მიზეზი ის გახდა, რომ გაზეთ "ნოთე"-ს აკრძალვა თავიდან ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს დაბრალდა. როცა გაერკვენ, რომ ეს ცენტრის დონეზე გადაწყდა, საქართველოს კომპარტიის ნინააღმდეგ წამოიწყეს საჩივრები. ი.ფვანია მეგრული ენის საკითხს გლეხობის და სოციალისტური აღმშენებლობის საკითხად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მან მშვენიერად მოირგო ენის მნიშვნელობის მარქსისტული მეთოდოლოგიური ფორმულირება. მეგრულ ენას მართლაც გარდაამავალი ხანის "საშუალებები" ფუნქცია ენიჭებოდა და არა მიზნისა, რასაც პოლიტიკური მიზანდასახულობით აბრალებდნენ ი.ფვანიას და ამ იდეისათვის მებრძოლებს.

ი.ფვანია ისარგებლა კონიუნქტურით და კომუნისტური პოზიციებიდან გამოლანძლა ანტილახოთა პარტიების ყოფილი წევრი, ეროვნული პატრიოტები, რომლებმაც 1925 წელს რუსთაველის თეატრის სხდომაზე ექსტრემისტები და სეპარატისტი "ჩხოუმიელი" ავტონომისტების ნინააღმდეგ მხარი დაუჭირეს ხელისუფლებას, მაგრამ ამასთანავე არაფერი სთქვეს ქართულის უცოდინარი მეგრული გლეხებისათვის ერთადერთი სალაპარაკო მეგრული ენის გამოყენების საჭიროების შესახებ.
მაშასადამე – ქართული ენის პრობლემა XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში რეგიონის მოსახლეობის ძირითადი მასის უმთავრეს, უაღრესად სათუთ და ყურადსაღებ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ ავტონომისტების ნინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად საჭირო იყო ქართულის არმცოდნე მშრომელების საჭიროებათა გათვალისწინებაც.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო განმარტება

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I (აღტერნატავა)

საქართველოში მკურნალთა კვალი

მკითხველებს გავაცნობთ აფხაზური სამზარეულოს რამდენიმე რეცეპტს.

აფხაზი პურეულს "ავუხუს" უწოდებენ, დანარჩენ კერძებს – "აციფას".

მოგვხსენებთ, თხა, ციკანი აფხაზეთში საღვთო ცხოველია. წარმართობისას მას შესწირავენ ადგილის დედას – ადგილ დედოფალს და აფის – ჭეჭა-ჭუხილის ღვთაებას, გულის მოსაგებად და მზებაცემულის სულის საოხად.

უგემრიელებია აჯიკით შენელებულ თხის რძეში მოხარშული ციკანი.

ხორცეულს ძალიან უხდება აკანახურ საძბალ – კონახურის სანებელი. 1 კგ კონახური ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, ჩაასხით 2 ს/კ წყალი, დაუმატეთ 2-3 პიტნის ფოთოლი და 10 წუთი ხარშეთ. გახეხეთ და შეანელებეთ 1-2 ს/კ აჯიკით.

აკურ საძბალ – ისრიმის (მკვახე ყურძენი) ნიგვზიანი სანებელი. დამარცვლილ 500 გ მკვახე ყურძენს დაასხით ცოტა ცივი წყალი და 10 წუთი ადუღეთ. შემდეგ განურეთ, გახეხეთ, შეანელებეთ გატარებული 100გ ნიგვზით, 3-4 კბილი ნივრით, 1ს/კ აჯიკით, წმინდათ დაკეპილი 4-5 ძირი ქინძით, 1ჩ/ჭ ანადულარი წყლით. ნამდვილი დელიკატესია სუ-

კულინარიული ხელოვნების ნიმუშები

ლუგუნინი ხოხობი, მწყერი და წინილა. გასუფთავებულ ფრინველის მუცელი გახეხილი სულგუნით გამოტენეთ, ამოკერეთ და შამფურზე ტრიალით შეწვით. შეწვისას უნდა წაუსვათ მარილწყალი.

აჯიკა აფხაზურ სამზარეულოში სანელებლადაც იხმარება და სანებლადაც. ამიტომ უპირველესად გავაცნობთ, როგორ მზადდება ეს მართლაც გემრიელი, სურნელოვანი, ვიტამინებით მდიდარი სანებელი.

აპირილ ვიკა – ნითელი (ცხარე) – აჯიკა. 500 გ ნითელ წინაკას გამოაცალეთ თესლი, ნახევარი საათით ჩაალბეთ თბილ წყალში, შემდეგ 3-4 საათით დაპრესეთ. წმინდად დანაყეთ როდინში წინაკა, 8 კბილი ნიორი, 15 გ ქინძის თესლი, 10-10 გ გამხმარი კამა, რეჰანი, ქონდარი, 60 გ ნიგოზი, მარილი – გემოვნებით.

აყრდცა – ლობიოს შეჭამანდი. 100 გ ლობიოს ადუღებისთანავე წყალი გამოუცვალეთ და ნელ ცეცხლზე ხარშეთ. ჩაახარშეთ 2-3 თავი დაკეპილი ხახვი, 2-3 ძირი ოხრახუში, 1 ძირი ნიახური. გადმოდგამდე 5-7 წუთით ადრე შეანელებთ ცხიმში მოშუშული 1 ს/კ სიმინდის ფქვილით, დაკეპილი მცვანე ხახვით, ქინძით და კამით, დანაყილი 2-3 კბილი

ნივრით. ამ წვნიანს ძალიან უხდება დაკეპილი დუმა.

აუასაჟიციკარმ – მოშუშული ცხვრის ხორცი. 1 კგ დაჭრილი ცხვრის ხორცი, დუმა ან მუცლის ქონი მოშუშეთ თავდახურულ ქვაბში. გადმოწურეთ ცხიმო და მასში მოშუშეთ 2-3 თავი დაკეპილი ხახვი, 2 ს/კ ტომატი-პიურე ან გახეხილი პომიდორი, 1 ჩ/კ ხმელი სუნელი, მარილი – გემოვნებით. მზა წვენში ჩაყარეთ ხორცი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე 5-10 წუთი და სუფრაზე მირთმევის წინ მოაყარეთ დაკეპილი მწვანელი.

აკუტეციკარმ – ნიგვზიანი დედალი. ქათამი აქენით, დაასხით ცივი წყალი და ნელ ცეცხლზე ხარშეთ. დროდადრო მოქაფეთ. მოხარშული ხორცი გადაიღეთ თუჯის ქვაბში, დაუმატეთ 50-70 გ კარაქი ან ერბო, დაკეპილი 2-3 თავი ხახვი, 1 ს/კ აჯიკა და შუშეთ 5-10 წუთი. 350 გ ნიგოზი ორსამჯერ გაატარეთ ხორცსაკეპში, დანაყეთ 3-4 კბილი ნიორი და 1 კონა ქინძი, შეურიეთ ნიგოზს, გახსენით 3 ჩ/კ ბულიონში, დაასხით, ხორცს და წყნარად ადუღეთ 10-15 წუთი, დროდადრო ურიეთ. გადმოდგამდე 2-3 წუთით ადრე დაუმატეთ ძმარი ან ბრონეულის წვენი და მარილი – გემოვნებით.

აფხაზურა. 0,5 კგ ხორცთან ერთად ხორცსაკეპში გავატაროთ: ნიორი, ხახვი, ნიახური, შემდეგ შევანელოთ უცხო სუნელით, კონახურით, ქონდრით, აჯიკით, დარიჩინით, ხმელი ქინძით (ყველაფერი გემოვნებით), ფარშს დავემატოთ ცოტაოდენი წყალი. ბადექონი დავჭრათ კვადრატებად, გავახვიოთ მასში ფარში და ღუმელში შევწვათ. სუფრაზე მიიტანეთ კონახურის სანებლით.

მოხარშული ტვინი. ოდნავ მარილიან წყალში მოხარშეთ ტვინი. უხდება ხმელი სუნელი.

ყველიანი მჭადურა. თანაბარი რაოდენობით ხორბლისა და სიმინდის ფქვილი მოზილეთ მან-

ვნით. ამოაგუნდავით, ცოტა ხანს გააჩერეთ ასაფუებლად, გააბრტყელეთ, ნახევარი დადეთ ცხელ კეცზე ან ტაფაზე, მოაყარეთ დაჭყლეტილი ყველი, დააფარეთ მეორე ნახევარი. თავზე წაუსვით ათქვეფილი კვერცხი. ან ყველს მოასხით კვერცხი და ტაფა შედგით ცხელ ღუმელში.

საგზლად მეტად ყუათიანი და გემრიელია აკვარ – თაფლაკვერი. 500 გ ხორბლის ფქვილი მოზილეთ 3 კვერცხით, 250 გ თაფლით, 0,5 ჩ/კ წყლით, მარილი – გემოვნებით. გააბრტყელეთ, დაჭერით 3X4 სმ-ზე, დაამრგვალებთ კაკლებივით და შეწვით ერობში ან პარაქში.

აი, ასეთი მრავალფეროვანია აფხაზური სამზარეულო – ეს ხომ ყოფილი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია...



1559 წელს გარდაცვლილ მათემატიკოს ტელევიზორის განვალაგების დაფარვა მოთხოვნა

ბანკები ხშირად საკუთარ ქსელში და ციფრებში რომ იბურდებიან, ერთხელ მაინც გექნებათ პირადად გამოცდილი. მაგრამ, საბედნიეროდ, ისეთი სულელური შეცდომა, როგორც ერთ-ერთმა გერმანულმა ბანკმა დაუშვა, ჩვენთან, ყოველი შემთხვევისათვის, ჯერჯერობით, მაინც არ დაფიქსირებულა.

როგორც ირკვევა, ბანკმა, რომლის ზუსტი დასახელება უცნობია, დაახლოებით 500 წლის წინათ მცხოვრებ გერმანელ მათემატიკოსს, ადამ რისს, ტელევიზორისა და რადიომიმღების დავალიანების დაფარვა მოსთხოვა, უარის თქმის შემთხვევაში კი ე.წ. "შავ სიაში" შეყვანილი დაემუქრა.

მოკლედ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი გაიკვია, როცა ბანკის შედარებით დაკვირვებულმა თანამშრომელმა აღმოაჩინა, რომ, თურმე, ადამ რისი 1559 წელს გარდაცვლილია.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მსგავს სკანდალში იგივე ბანკი შარშანაც გაცხეულა, როდესაც ფრიდრიხ შილერისათვის ტელევიზორის დავალიანების დაფარვა მოუთხოვია. არა და, ცნობილი პოეტი და ფილოსოფოსი 1805 წელს მიეხარა უფალს.

იჯორი

დაკვირვება:
მაიმუნის შვილი მაიმუნად გაიზრდება, გოჭი ღორი გახდება, ჩოჩორი ვირად გადაიქცევა, ხოლო ადამიანის შვილი შეიძლება, ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი გახდეს.

– აი, სულ მალე პენსიაზე გავალ და ჩემს მეორე წიგნს დავამთავრებ.
– თქვენ წერთ? არ ვიცოდი...
– არა, ვკითხულობ...

მალაზიაში ნილბიანი და პისტოლეტით შეიარაღებული მამაკაცი შეეპრდა და ყვირის:
– ძარცვაა, ვინც განიძრევია, ვესვრი, სერიოზულად გაფრთხილებთ!
ერთ ქალთან მიიღობინა, პისტოლეტი თავზე მიადო და ეკითხება:
– რა გქვია?
– ელზა.
– ვერ გესვრი, დედაჩემსაც ელზა ერქვა!
ახლა პისტოლეტი ორმეტრიან მუტრუქს მიადო და ეკითხება:
– შენ რაღა გქვია?
– ნუგზარი, მაგრამ შინაურობაში ელზას მეძახიან...

მოხუცმა მამამ სიკვდილის წინ გადაწყვიტა, რომ ქონება სამი შვილისათვის განაწილებინა.
– ერთი ამას დამიხედე! – თქვა მეოთხე შვილმა.

თბილისიდან მოსკოვში ფრენა განახლდა

14 მარტს სომხურმა ავიოკომპანია "არმავიამ", რამდენიმეჯერ გადადების შემდეგ, ერევნის გავლით თბილისიდან მოსკოვში რეისების შესრულება დაიწყო.

მათ, ვისაც რუსეთში გამგზავრება სურთ, შესაძლებლობა ეძლევათ მოსკოვამდე ერევნის გავლით იფრინონ.

"არმავია" რეისებს ყოველდღე შესრულებს.

მასთან სიცოცხლეა ხელაქანაულება მილიან გამოქანართალაულები ბრუნდებიან

გაგელინის პრეპარატი არჩენს

ავთვისებანი სისისწინარ დაავადებას, ჯან-წახალისი გაავალბებას, ჯორბის, ფისბალას, პროსტატიტის, ბაუსილს, ნარვის ანთებას, ნავროუს, ფსიაიალურ დაავადებას, პარაინსონს, ასთმას, რიფსს, გულისა და თირკმელის დაავადებას, სოკოს ანოტის თირკმელში, ჰეპარტის დაავადებულ სტატიუსს და ზიდსს, გვალის ცარბარაულ დაავადებას, ჯირბილან რიფტანს, ოსტეოპოროზოს, ჰემოროიდს, სისხლის ბათურებას, სეფსისს, ბოტალოზის, ბუბარაულუს, მაროუს I და II სტადიაში, C-ჰეპატიტის, ბოტაინს, ალკოჰოლი, ნაჯლის ბუბის დაავადებას, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, პლემასს, გულულს, ფსორობის, სახარების დაავადებას, ავირუფსიას, აფარებას იმუნობას, ახლანს თავის ბვინის ჯარბალის ალბანა-შენარებას, დაავადებულ მოქმედებას სპსალურ დარღვევაზე და ნარობიანთა დაზოიდაულობაზე.

ქოროდინებია:

თალაში, ჰავასიონის ქაა №61-ბ, გაგელინ ბიჭიკო (დოზაბი).
ტალ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, წინამძღვრობის 120
ბათუმი, ასათინის 11,
(ოფსაბაუს, ოფსაბაუს და პარასაუს, 10-დან 14 საათამდე).

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანი მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყვანილი	anaklia@web.de e-mail:elisabethhal@yahoo.de რედაქციის განთავსება 923-758
--	--	--	---